საიდ. №74233/03

IR 1175994

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №201-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), ქ. კილაძე, ს. ებრალიძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ბაიერ ინტელექტუალ პროპერტი გმბჰ” (Bayer Intellectual Property GmbH) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №201-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 04 სექტემბრის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №2357/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „GLUCOBAY AIM” (საიდ. №74233/03 IR 1175994) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-5 კლასი).

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 04 სექტემბრის №2357/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი "GLUCOBAY AIM" მსგავსია კომპანიის "BAYER AG" სახელზე მე-5 კლასის მსგავსი საქონლისათვის საქპატენტში რეგისტრირებული სიტყვიერი სასაქონლო ნიშნებისა "GLUCOBAY "(რეგ. №1481, რეგ თარ. 1996-02-07) და "ГЛЮКОБАЙ" (რეგ. № 8705, რეგ თარ. 1998-03-20). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ერთი დაპირისპირებული ნიშანი შესრულებულია ლათინური შრიფტით და მთლიანად შედის სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ ნიშანში, ხოლო მეორე შესრულებულია კირილიცაზე, მაგრამ ფონეტიკურად მსგავსია სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშნის ძირითადი ნაწილისა. ნიშნების ვიზუალური და ფონეტიკური მსგავსება ქმნის მათ შორის აღრევისა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. აღნიშნულის გამო „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „ბაიერ ინტელექტუალ პროპერტი გმბჰ" არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებული სასაქონლო ნიშანი შედგება ორი ნაწილისაგან GLUCOBAY" და "AIM". ამასთან მის მეორე ნაწილს აქვს აზრობრივი დატვირთვა და მისი ქართული შესატყვისია - „მიზანი". აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის პირველი ნაწილი იდენტურია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნისა

”GLUCOBAY” და მსგავსია მეორე, კირილიცაზე ჩაწერილი სასაქონლო ნიშნისა «ГЛЮКОБАЙ», მეორე ნაწილი ”AIM” მას იმ დონის განმასხვავებლობას ანიჭებს, რომ არ მოხდება ამ სასაქონლო მიშნებით მონიშნული ფარმაცევტული ნაწარმის მწარმოებელი კომპანიების ერთმანეთში აღრევა, მით უმეტეს, რომ განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის მფლობელი „Bayer Intellectual Property GmbH“ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანიის „Bayer AG“ შვილობილ კომპანიას წარმოადგენს. სააპელაციო საჩივარზე თანდართულია, ასევე დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანიის „ბაიერ აგ“ (Bayer AG) თანხმობის წერილები. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელ კომპანიასა „Bayer AG“ და აპელანტს შორის არსებული ნათესაური კავშირის დასტურად წარმოდგენილია, ასევე ამონაწერი გერმანიის სამეწარმეო რეესტრიდან. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 04 სექტემბრის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №2357/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „GLUCOBAY AIM” (საიდ. №74233/03 IR 1175994) დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

აპელანტის მიერ წარმოდგენილი, გერმანიის სამეწარმეო რეესტრიდან ამოღებული ამონაწერის თანახმად, აპელანტი კომპანია „ბაიერ ინტელექტუალ პროპერტი გმბჰ" (Bayer Intellectual Property GmbH) წარმოადგენდა კომპანიის „ზექსთე ბაიერ ვვ გმბჰ" (Zechste Bayer VV GmbH) შვილობილ კომპანიას, ეს უკანასკნელი კი შეერწყა დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელ კომპანიას „ბაიერ აგ" (Bayer AG). კომპანიათა შორის შერწყმის შედეგად განხორციელებული ცვლილების თანახმად, აპელანტი კომპანია „ბაიერ ინტელექტუალ პროპერტი გმბჰ" (Bayer Intellectual Property GmbH) წარმოადგენს დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანიას „ბაიერ აგ" (Bayer AG) შვილობილ კომპანიას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ ვინაიდან, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანიები წარმოადგენენ მონათესავე კომპანიებს, შესაბამისად არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „GLUCOBAY AIM" (საიდ. №74233/03 IR 1175994) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ბაიერ ინტელექტუალ პროპერტი გმბჰ" (Bayer Intellectual Property GmbH) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 04 სექტემბრის №2357/03 ბრძანება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „GLUCOBAY AIM" (საიდ. №74233/03 IR 1175994) მიენიჭოს დაცვა საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	ს. მუჯირი
წევრები:	ქ. კილაძე
	ს. ებრალიძე